ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №850997

ნომერი: AR1155118

თარიღი : 15.08.2013

გაცემის თარიღი : 21.08.2013

გაცნობის თარიღი : 21.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერისცვალების ჩიხი N6 , ქ. წამებულის გამზირი N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ქურხული პ/ნ 01024036676
- თბილისი ქ. წამებულის 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1155118 განაცხადის პასუხად სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ფერსცვალების ჩიხი #6; ქეთევან წამებულის გამზირი #5–ში მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

რადგან, საპროექტო ადგილი მოქცეულია ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვარში, მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების საკითხი, უნდა განხილულ იქნეს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომის მიერ. რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს ტერიტორიის ისტორიულ–არქიტექტურული კვლევა და კვლევის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული საპროექტო ობიექტის ესკიზური ვარიანტი („რენდერი“, მოცულობის ელ. ვერსია ფოტომონტაჟით მიმდებარე გარემოში), რომლის დაპროექტებასაც ფიქრობთ მითითებულ ტერიტორიაზე. ასევე დააზუსტოთ მრავალფუნქციური შენობის ფუნქციები.

მიწის ნაკვეთის სამშნებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2013 წლის 15 აგვისტოს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge